ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №154

2019 წლის 29 ნოემბერი

ქ. რუსთავი

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის – გენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმის დამტკიცების თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის პირველი პუნქტის, „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლისა და 141-ე მუხლის მე-11 ნაწილის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ასევე „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 და „ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №261 დადგენილებების შესაბამისად, ქალაქ რუსთავის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 20 იანვრის №216 დადგენილებით დამტკიცებული თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 ივნისის №226 დადგენილება ,,ქალაქ რუსთავის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით დამტკიცდეს:

ა) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაცია – ტექსტური ნაწილი (დანართი 1);

ბ) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის გენერალური გეგმა თანდართულ რუკებთან ერთად (დანართი №2);

გ) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის განაშენიანების გეგმა თანდართულ რუკებთან ერთად (დანართი №3).

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 20 იანვრის №216 დადგენილება „თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ და თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 ივნისის №226 დადგენილება „ქალაქ რუსთავის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2019 წლის 3 დეკემბერიდან.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ლევანი ონიანი**